სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №53

ქალაქი ქუთაისი 03 დეკემბერი 2018 წელი

წინამდებარეხელშეკრულებადაიდოსაქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლის „ს[1]”-სა პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე- 2 მუხლის შესაბამისად.

ერთის მხრივ,

ალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის, „ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“
წარმოდგენილი ააიპ-ის დეირექტორის **თამთა ბაკურაძის** სახით,
მისამართი: ქ.ქუთაისი, დუმბაძის ქ.№59/61
საიდენტიფიკაციო კოდი: 412682119
ტელეფონის ნომერი: 0 431 24 30 01
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,

შ.პ.ს. „მიკრობიოლოგი“
წარმოდგენილი **ლაბორატორიის უფროსისქ. ებანოიძის** სახით,
მისამართი: ქ.ქუთაისი, განჯის ქ. №15
საიდენტიფიკაციო კოდი: 212847277
ტელეფონის ნომერი: 0431 247209
საბანკო რეკვიზიტები: სს„საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი:BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:GE93BG0000000116759200
(შემდგომში მომწოდებელი)

1.ხელშეკრულებისობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. ქუთაისის „ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“-სათვის მისსავე ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქ. №56/61) არსებული სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლის განსაზღვრის სახელმწიფო შესყიდვა.
1.2. ხელშეკრულების ღირებულება: 40 (ორმოცი) ლარი.
1.3. კლასიფიკატორის კოდი: **71900000**.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების მიმდინარეობის პროცესში შეამოწმოს მომსახურების პროცესი, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
2.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ აცნობებს „მიმწოდებელს“ განხორციელებული მომსახურები წუნდების მიზეზების მითითებით.
2.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერებისსახლი ---------- **შ.პ.ს. „მიკრობიოლიგი“-ს უფროსი** ----------

3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განსაზღვრულია 2018 წლის 10 დეკემბრამდე.

3.2 მომწოდებელს საკვლელვი ნიმუშები მიეწოდება შემსყიდველის მიერ დადგენილი წესით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 „შემსყიდველი“ შესყიდვისობიექტისმიღებასმოახდენს განხორციელებული მომსახურების შესრულების შემდეგ.

4.2 შესრულების დამტკიცებას ახორციელებს ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლის დირექტორი.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება„მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვისსაფუძველზე.

5.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

5.3 ანგარიშსწორების ფორმა განხორციელდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უნაღდო ანგარიშსწორებით(ლარებში).

5.4 ანგარიშსწორება მოხდება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

6.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

6.3ხელშეკრულებისპირობებისშეცვლადაუშვებელია,
თუამცვლილებისშედეგადიზრდებახელშეკრულებისჯამურიღირებულებაანუარესდებახელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

6.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

გ) ანგარიშსწორებისას მიუთითოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ჯამური ღირებულება

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გადავადების შესაბამისად.

7.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველისა და მიმწოდებლის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი.

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერებისსახლი ---------- **შ.პ.ს. „მიკრობიოლიგი“-ს უფროსი** ----------

სახსრებით უზრუნველყოს წუნისაღმოფხვრა დაუყონებლივ. არაჯეროვნად შესრულებული მომსახურების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება არასატანადოდ განხორციელებული მომსახურეობის ღირებულება.

8. ხელშეკრულებისპირობებისშეუსრულებლობა

8.1 დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულები ს0.1%.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.4 დაუძლეველი ძალისპირობებში.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია 2019 წლის 10 იანვრის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 1 (ერთი) პირი „შემსყიდველთან“.

ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერებისსახლი ---------- შ.პ.ს. „მიკრობიოლიგი“-ს უფროსი ----------